ხაშურის მოამბე

№41 (72) 26 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 2016 წელი

დაათვალიერეს რეაბილიტირებული და მშენებარე საბავშვო ბაღები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა, ხაშურის გამგებელთან გიორგი გურასპაშვილთან ერთად,2015-2016 წლებში რეაბილიტირებული,რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული, საბავშვო ბაღები დაათვალიერა.

2015 წელს ქალაქ ხაშურში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 ბაგა-ბაღს. ხოლო 2016 წელს დაიწყო 180 აღსაზრდელზე გათვლილი, სრულიად ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. რეაბილიტაციის ფარგლებში ამორტიზებული და მწყობრიდან გამოსული საბავშვო ბაღის შენობები გარემონტდა, მოეწყო სასადილო ოთახები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სველ წერტილებს, სამივე საბავშვო ბაღში დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა. ხაშურის ბაგა-ბაღების რეაბილიტაციაზე ჯამში 720 517 ლარი დაიხარჯა. შესრულებული სამუშაოების შედეგად ხაშურში მცხოვრები 600-მდე აღსაზრდელი განახლებულ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საბავშვო ბაღებში შეძლებს სიარულს.

რაც შეეხება ახალ საბავშვო ბაღს, მისი მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება. ბაგა-ბაღის სამშენებლო სამუშაოებისთვის 721 864 ლარია გამოყოფილი.

2013-2016 წლების განმავლობაში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მასშტაბით სულ, საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 227 პროექტი დაფინანსდა, ღირებულებით 44 162 799 ლარი.

ომში დაღუპულთა მემორიალი ახალ სახეს იღებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, ქალაქ ხაშურში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა გამწვანების ზოლი, დაიგება ქვაფენილი, დამონტაჟდება ლამპიონები, დასასვენებელი სკამები. სამუშაოებისთვის 47 197 ლარია გამოყოფილი. მემორიალის რეაბილიტაციის პროექტი მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

სკვერი კეთილმოეწყობა

სოფელ ცხრამუხაში, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოეწყობა გამწვანების ზოლი, დაიგება ქვაფენილი, დამონტაჟდება ლამპიონები, დასასვენებელი სკამები, სანაგვე ურნები.

სამუშაოებისთვის, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგეობა აფინანსებს, 36 329 ლარია გამოყოფილი. სკვერის კეთილმოწყობა მიმდინარე წლის ბოლოსთვის დასრულდება.

პატარა ფლევი სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იქნება

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, სოფელ პატარა ფლევში ჭაბურღილისა და წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სოფელ პატარა ფლევში წყალმომარაგების სისტემის არარსებობის გამო, მოსახლეობა წყაროს წყლით და რამდენიმე არტეზიული ჭით სარგებლობდა, ამიტომ მუნიციპალიტეტის გამგეობამ აღნიშნულ სოფელში წყლის სისტემის მოწყობა აუცილებლობად მიიჩნია,რათა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესდეს.

აღნიშნული სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 184 998 ლარი გამოიყო და 2017 წლის იანვრიდან პატარა ფლევის ყველა მოსახლე ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით ისარგებლებს.

ცენტრალური წყალმომარაგებით ისარგებლებენ

გამგეობის დაფინანსებით, დაბა სურამში, წმინდა მარიამის ქუჩაზე წყალმომარაგებით უზრუნველყოფის სამუშაოები მიმდინარეობს.

აღნიშნულ მონაკვეთზე ცენტრალური წყალმომარგების ქსელი არ არსებობდა, მოსახლეობა თვითნებურად მოწყობილი წყალმომარაგების სისტემებით სარგებლობდა და უსუფთაო წყლის გამო, საფრთხე ექმნებოდა მათ ჯანმრთელობას,ამჯერად კი იქსელება იტრიის მიმდებარე ტერიტორია და მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ცენტრალური წყალმომარაგებით. პროექტის ფარგლებში, მოხდება გამრიცხველიანებაც.

სამუშაოები, რომელთა ღირებულება 103 000 ლარია, 2017 წლის იანვარში დასრულდება.

ჩვენი „მაჟორიტარული“ ისტორია 1990-2016 წლებში

მაჟორიტარული წესით არჩევნების ისტორია სათავეს 1990 წლიდან იღებს, როდესაც, როგორც იქნა, ქვეყანა გათავისუფლდა იმპერიული მარწუხებიდან და დამოუკიდებლობის ათვლა დაიწყო. არა, მანამდეც იყო არჩევნები, მაგრამ კომუნისტურ ეპოქაში, ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენას არჩევნები არც ერქვა – ეს იყო ჩვეულებრივი დანიშვნა. იქ „ზემოთ“ დანიშნავდნენ კაცს და მერე, მიხვიდოდი თუ არ მიხვიდოდი არჩევნებზე, აზრი არ ჰქონდა – შედეგი უცვლელი იყო – დანიშნული კაცი (ქალი) ხმათა 99,9 პროცენტს ისე იღებდა, თვალსაც არ ახამხამებდა არავინ. ვინ გეკითხებოდა, ვინ იყო შენი რჩეული? ვის აინტერესებდა, ვის უჭერდა ხალხი ხმას? „მაღლიდან“ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და მორჩა და გათავდა. მართლაც სასაცილო სიტუაცია გახლდათ – სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ხაშურლები ვირჩევდით ვიღაც ლენინგრადელ (მაშინ ასე ერქვა) ნინოვიკს, ქარელის რჩეული ირკუტსკელი პარტიული ბოსი იყო, ხოლო, ვოქვათ, მთა-თუშეთი ვიღაც კრასნოდარელ მწყეს ლავს აძლევდა ხმას.



უფლის წყალობით, ის ეპოქა დასრულდა და პირველი არჩევნები ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნის ისტორიაში 1990 წელს დაინიშნა. საქართველოს უზენაეს საბჭოში მოსახვედრად დეპუტატობის 8 კანდიდატი ჩაება ბრძოლაში. 45448 ამომრჩეველიდან 28 ოქტომბერს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 30287-მა კაცმა. მაჟორიტრაობის 8 კანდიდატს შორის კი პირველი სამეული ასე გამოიყურებს:

1. გივი იმერლიშვილი – 9942 ხმა;
2. როლანდ მულაძე – 9115 ხმა;
3. ალექსანდრე ელიაშვილი – 4065 ხმა.

გივი იმერლიშვილი ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიაში პირველი მაჟორიტარი დეპუტატია. სხვათაშორის, ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ ისტორიულ აქტზე, რომელიც იმ წლებში მიიღეს, რა თქმა უნდა, გივი იმერლიშვილის ხელმოწერაცაა.

ამის შემდეგ, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მორიგი არჩევნები 1992 წელს გაიმართა. აღარ შეეჩერდებით იმ ბატალიებზე, რის გამოც მოხდა ასე სწრაფად მორიგი არჩევნების დანიშვნა. არჩევნები კი 11 ოქტომბერს შედგა. ამჯერად არჩევნებში უპრეცედენტოდ ბევრმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა – თავისი პოზიცია 39097-მა (83%) ამომრჩეველმა დააფიქსირა. პირველი სამეული კი ასეთია:

1. გივი ხვედელიძე – 10646 ხმა;
2. ომარ ხაჯაველიძე – 8699 ხმა;
3. ზაურ ხაჩიძე – 3545 ხმა.

ამრიგად, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა გივი ხვედელიძე. იმ წლებში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო სამწლიანი ვადით ირჩეოდა (შემდგომ წლებში გახდა ოთხწლიანი) და, ბუნებრივია, შემდეგი არჩევნები 1995 წელს გაიმართა, 8 ნოემბერს.

ამ წელს მაჟორიტარობის კანდიდატთა უჩვეულო სიუხვე დაფიქსირდა – 30-ზე მეტი. 45241 ამომრჩეველიდან ხმა მისცა 31 ათასზე მეტმა, რაც საერთო რაოდენობის 70 პროცენტი იყო. პირველი სამეული კი ასე გამოიყურება:

1. მიხეილ ოსაძე – 4427 ხმა;
2. ომარ ხაჯაველიძე – 3856 ხმა;
3. ჯემალ გელაშვილი – 3290 ხმა.

ამ წელს პირველად გახდა საჭირო მეორე ტურის დანიშვნა, სადაც ერთმანეთს ორი კანდიდატი მიხეილ ოსაძე და ომარ ხაჯაველიძე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მეორე ტურმა კი ასეთი შედეგი მოგვცა:

1. მიხეილ ოსაძე – 9008;
2. ომარ ხაჯაველიძე – 7095.

საქართველოს პარლამენტში ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი მიხეილ ოსაძე გახდა. მორიგი არჩევნები 1999 წელს გაიმართა. ამ წელს საარჩევნო ყუთთან 31051 კაცი მივიდა. პირველ სამეულს შორის ხმები ასე განაწილდა;

1. ვალერი გელაშვილი -16500 ხმა;
2. ირაკლი ჯიქურაშვილი – 6009 ხმა;
3. ჯემალ ენჯიბაძე – 3713 ხმა.

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მთელი რიგი დარღვევები მოხდა. განსაკუთრებით კი ნაბახეკვეს, ფლეკეს და ტკოცის საარჩევნო უბნებზე. ამ წელს, ძირითადად, ორი კანდიდატი იბრძოდა გამარჯვებისთვის – ვალერი გელაშვილი და სიმონ ნოზაძე; მათი ხმების რაოდენობა ასეთი იყო: ვალერი გელაშვილი – 9145 ხმა და სიმონ ნოზაძე –8284 ხმა.

უნდა დანიშნულიყო არჩევნების მეორე ტური, მაგრამ, იმის გამო, რომ სიმონ ნოზაძემ მოხსნა თავისი კანდიდატურა, გამარჯვებულად გამოცხადდა ვალერი გელაშვილი.

2008 წელს ამომრჩეველთა რაოდენობა მთელი სამი ათასი კაცით გაიზარდა (?) –48561 და საარჩევნო ყუთთან 35386 ამომრჩეველი მივიდა. უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვა სერგო (ბაჩო) ჭიტიაშვილმა –25397 ხმა. მეორე ადგილზე ნინო გვენეტაძე გავიდა – 2553 ხმა, მესამეზე კი – გიორგი გოგოლაძე –2426 ხმა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მართლაც შავ ლაქად დარჩება არა მარტო ხაშურის, არამედ მთლიანად საქართველოს არჩევნების ისტორიაში. მკითხველსაც კარგად ახსოვს 1 ოქტომბერს ხაშურში მხოლოდ ტანკები არ შემოსულან, თორემ დანარჩენი ალბათ ყველაფერი იყო – საარჩევნო უბნების დარბევა, საარჩევნო ყუთების გატაცება, სპეციალური დანიშნულების რაზმების შეჭრა უბნებზე, ამომრჩეველთა ცემა-ტყეპა და სხვა... ხაშური ლამის მთელი მსოფლიოს მედიასივრცის ეპიცენტრად იქცა. მსოფლიოს ყველა საინფორმაციო საშუალება გადმოსცემდა ხაშურში მომხდარ ფაქტებს. შედეგად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 9 უბნის არჩევნები გააუქმა და განმეორებითი არჩევნები დანიშნა. საბოლოო შედეგები კი ასე დაფიქსირდა:

1. ვალერი გელაშვილი –15902 ხმა (57,75%);
2. სერგო (ბაჩო) ჭიტიაშვილი – 9256 ხმა (33,61%).

ვინ იქნება ხაშურის მუნიციპალიტეტის მორიგი წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში ამას 30 ოქტომბერს დანიშნული არჩევნების მეორე ტური გვიჩვენებს.

ფინანსური თანადგომა მუზეუმს

თანამედროვე მუზეუმი სრულიად განსხვავდება მუზეუმის იმ ტრადიციული და სტერეოტიპური „კლიშესგან,“ რასაც ჩვენი საზოგადოება იყო მიჩვეული. XXI საუკუნემ მუზეუმის მცნების, დანიშნულების, მიზნების, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმების სრულიად ახალი სტანდარტები წარმოაჩინა. პირველი და უმთავრესი გახლავთ ის, რომ მუზეუმი აღარ არის სივრცე მხოლოდ ექსპონატების დაცვისა და სტაციონალური გამოფენებისთვის.

მუზეუმთა მსოფლიო ასოციაცია ICOM და მისი წარმომადგენლობა საქართველოში, მუზეუმებს სრულიად ახალ ამოცანებს უყენებს. ახალი მიდგომები ჩანს კულტურის სამინისტროსა და ICOM-ის მიერ ჩატარებულ არაერთ სამუზეუმო ხასიათის ტრენინგში. უკვე რამდენიმე წელია, მსოფლიოს მუზეუმების მასშტაბით ამუშავებულია პროგრამა: „მუზეუმი მტვრისა და მოწყენილობის გარეშე“. მართალია, საქართველოში, კანონი მუზეუმების შესახებ ჯერ კიდევ ოგვიანებს, მაგრამ მზადდება სერიოზული საფუძველი სამუზეუმო რეფორმებისთვის. საჭიროა, რომ მუზეუმმა შეცვალოს თავისი მუშაობის ეფექტორები, გაამრავალფეროვნოს სტაციონალური და აამუშაოს დროებითი გამოფენები, მეტი ყურადღება მიექცეს დამთვალიერებლების ინტერესებს. დღეკანდელი მუზეუმი გულისხმობს თანამედროვე სტანდარტებით გამართულ ფონდსაცავებს და საგამოფენო სივრცეებს, სამუზეუმო აუდიტორიის გაზრდას, საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებას და ამოქმედებას, მასში მოსწავლეა-ახალგაზრდობის გარდა, მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის ჩართულობის უზრუნველყოფას, მოხალისეთა და სტაჟიორთა სამუზეუმო საქმიანობას, ექსპონატების ინტენსიურ რესტავრაციისა-კონსერვაციას, ახალი სტანდარტების გამოფენების მოწყობას, პასპორტიზაციის ახალ სისტემას (2018 წლიდან ამოქმედდება საქართველოს მუზეუმების ექსპონატების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შესაქმნელი პროგრამა), ექსპონატების დიგიტალიზაციას და კატალოგიზაციას, სამეცნიერო, შემოგვიანებლობით, საგამომცემლო საქმიანობას და სხვა.



ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ქართული სამუზეუმო სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილია. ბუნებრივია, ჩვენც მონაწილეობას ვიღებთ ყველა იმ რესპუბლიკური მნიშვნელონის ტრენინგებსა და სემინარებში, რომელიც საქართველოს კულტურის სამინისტროს უგიდია და საქართველოს ICOM-ის უშუალო მხარდაჭერით ტარდება. საინტერესოა, მუზეუმის მენეჯმენტის, საფონდო სამსახურის, საგამოფენო საქმიანობის და საგანმანათლებლო პროგრამების მხარდასაჭერი, საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ტრენინგ-სემინარები. ამ მიმართულებით, ხაშურში, ჩვენს მუზეუმში, ჩვენივე ინიციატივით, საქართველოს ცნობილი სამუზეუმო დარგის სპეციალისტების და ტრენერების მიერ საგამოფენო საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებით ნატარდა ტრენინგი ქართლის რეგიონის მუზეუმების წარმომადგენლებთან ერთად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მუზეუმებში საგანმანათლებლო პროგრამების ამუშავებას, სკოლისა და მუზეუმის ურთიერთობა ხომ უმნიშვნელოვანესია მომავალი თაობის აღზრდისა და განვითარების საქმეში. ამ მიმართულებით, ჩვენმა მუზეუმმა სრულიად განსაკუთრებული ნაბიჯები გადადგა ბოლო წლების განმავლობაში. ამუშავდა არაერთი საგანმანათლებლო პროგრამა (მიგრირებული პროგრამა ეროვნული მუზეუმიდან (ცნობილი მოგზაურის, მაქს ტილკეს მიერ შექმნილი ესკიზების რეპროდუქციებზე, სოფ. ნაცარგორის აღრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარისა და სამაროვნის მასალებზე, ხაშურის მუზეუმში დაცულ საბრძოლო აღჭურვილობის ნიმუშებზე, მუზეუმში დაცულ ეპისტოლარული მემკვიდრეობის ნიმუშებზე და სხვა). ეს აქტივობები, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია იმით, რომ ხდება სწავლების ინტეგრირებული მეთოდების გამოყენება. ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოხდეს ინტეგრაცია ისეთი საგნებისა და სამეცნიერო დისციპლინების, როგორებიცაა: არქეოლოგია და ხელოვნებათმცოდნეობა, არქეოლოგია და სახეითი ხელოვნება, ბოტანიკა და ქართული ენა და ლიტერატურა, ბოტანიკა და ხელოვნებათმცოდნეობა, ისტორია და ქართული ენა და ლიტერატურა და სხვა. ამ მიმართულებით, ჩვენ კარგა ხანია გავცდით რეგიონის ფარგლებს და წარმატებით ვურთიერთობთ მეზობელი რეგიონების მუზეუმებთან (ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და სხვ.).

საინტერესოა, ჩვენი ურთიერთობა ისეთ ინსტიტუციებთან, როგორებიცაა, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს რეგიონული მუზეუმები და სხვა. მათთან კონტაქტები გვეხმარება გამოცდილების გაზიარებაში, სამუზეუმო საქმიანობის პრობლემების დანახვასა და ამ პრობლემების გადაჭრისთვის ეზებისა და საშუალებების დასახვაში.

საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებული ყურადღება იქნა მიქცეული მუზეუმებში სარესტავრაციო საქმიანობის წარმართვაზე. მათ მიერ თბილისის სამხატვრო აკადემიის სარესტავრაციო სამსახურთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ჩვენს მუზეუმს საშუალება მიეცა ჩართულიყო აღნიშნულ პროგრამაში და მოეხდინა არაერთი უნიკალური ექსპონატის რესტავრაცია. წარმოგიდგენთ, ხაშურის მუზეუმისთვის სარესტავრაციო სამუშაოებში კულტურის სამინისტროს მიერ გახარჯული თანხების ოდენობას 2013 წლიდან დღემდე: 2013 წელი – 11200 ლარი, 2014 წელი – 7850 ლარი, 2015 წელი – 18000 ლარი, 2016 წელი – 13860 ლარი (სულ, ხაშურის მუზეუმის ექსპონატების რესტავრაციაზე კულტურის სამინისტროს მიერ გაღებულია 50910 ლარი). მოხდა ისეთი უმნიშვნელოვანესი ექსპონატების რესტავრაცია, როგორებიცაა: ფეოდალური ტილოები – ლ. გუდიაშვილის „ტაშისკრის ბრძოლა“, ა. ციმაკურიძის „პეიზაჟი სახლით“, ა. ციმაკურიძის „ხატვრის სახლი“, ა. ციმაკურიძის „წიწამურის პეიზაჟი“, უცნობი ავტორის „დიმიტრი ყიფიანის პორტრეტი“, შ. გრიგოლიას „გუთანში შებმული მეგატონე სუმბათოვი და მისი მოურავი“, ჯ. ხუნდაძის „ნატურმორტი“, ე. კალანდაძის „ნავმისადგომი“ და სხვა, მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ნივთი: ბრინჯაოს თეფშები, შუბისპირები, ხატვრები, ფიბულები, ეთნოგრაფიული ნივთები: ხატები, საქორწინო ეკირგვინები, თოფები, ხმლები, დამბაჩები და სხვა. ამ სტატიით საჯაროდ ვუხდით მადლობას საქართველოს კულტურის სამინისტროს ჩვენი ექსპონატების რესტავრაციისთვის გაწეული ხარჯების გამო. კულტურის სამინისტროს მიერვე მოხდა ჩვენს მიერ მომზადებული ორენოვანი წიგნის: „ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების გზამკვლევის“ გამოცემის დაფინანსება, რომლის სასტამბო ღირებულება 7 000 ლარს შეადგენდა. ამ საქმეში განუზომელია სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომელთა ღვაწლიც, რადგან აღნიშნული წიგნის ტექსტები, ფოტოსურათები, ინგლისურენოვანი თარგმანი ჩვენს მიერ სრულიად უფასოდ მომზადდა.

უფასოდ მომზადდა ორენოვანი წიგნი-გიდიც: „ხაშურის რაიონი“.

ფასდაუდებელია ჩვენი მუზეუმის პრარიტეტული წიგნების რესტავრაციის საქმეში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დახმარება. იმის გარდა, რომ აქ, სრულიად უფასოდ, მოხდა ჩვენი მუზეუმის არაერთი რარიტეტული წიგნის რესტავრაცია, ამავე მიმართულებით, სტაჟირება (უფასოდ) გაიარა ჩვენი მუზეუმის ორმა თანამშრომელმა. აღვადგინეთ ისეთი მნიშვნელობის წიგნები, როგორებიცაა: „სახარება“. (1708 წ. ვახტანგ VI-ის სტამბა), „ჯამნი“, „სამოციქულო“ და სხვ. ეროვნული ბიბლიოთეკა ინტენსიურ დახმარებას გვიწევს ძვირადღირებული სარესტავრაციო მასალებითაც, რის გამოც უზომოდ მადლიერნი ვართ. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა ნებისმიერ დროს მზადაა ამგვარი დახმარებისთვის.

ზემოთჩამოთვლილთა გარდა, მეტად საჭირო დახმარება გაგვიწია ხაშურის ამერიკულმა კუთხემ, რომლისგანაც საჩუქრად გადმოგვეცა ძვირადღირებული მეორადი პროექტორი. კიდევ ერთხელ მადლობა მათ.

დღესდღეობით, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ხაშურის მუზეუმი საქართველოს მოწინავე მუზეუმთა შორის იყოს. ერთადერთი, ძალიან მნიშვნელოვანია, ფონდსაცავებისა და საგამოფენო სივრცის რესტავრაციაა. ამ საქმეში ადგილობრივი ხელისუფლების დახმარების დიდი იმედი გვაქვს. ჩვენი მუზეუმი მრავალ სასიკეთო ცვლილებას ელის.

მზია ლობჟანიძე,

ხცისში ახალგაზრდული ცენტრი - ბიბლიოთეკა გაიხსნა

ხცისის აღმინისტრაციულ ერთეულში, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკისა და ადგილობრივი მოსახლეობის ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში აღდგა ბიბლიოთეკა, რომელმაც ახალგაზრდული ცენტრის ფუნქციაც შეითავსა. თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა მაკა დიდებულიძემ და პროექტის „ადგილობრივი ინიციატივები ადგილობრივი განვითარებისათვის" კოორდინატორმა თიკო ტყეშელაშვილმა მოაწერეს. ბიბლიოთეკა მალევე აღიჭურვება წიგნადი ფონდით, პერიოდული გამოცემებით და სხვა საჭირო ინვენტარით, ასე რომ მოსახლეობა უახლოეს ვადაში შეძლებს მთელი რიგი

სერვისებით სარგებლობას.

თიკო ტყეშელაშვილი, პროექტის კორდინატორი: ჩვენმა ინსტიტუტმა დაიწყო პროექტი „ადგილობრივი ინიციატივები ადგილობრივი განვითარებისათვის", რომლის მიზანი იყო რეგიონებში, სოფლებში, ქალაქებში, სათემო და ადგილობრივი ინიციატივების ხელისშეწყობა და წახალისება. ერთ-ერთი სამიზნე რეგიონი შიდა ქართლი იყო სხვა რეგიონებთან ერთად: სამცხე-ჯავახეთი, აჭარა და ქვემო ქართლი. სოფელი ხცისი იყო ჩვენ მიერ შერჩეული სამიზნე თემი, სადაც ჩავატარეთ რამდენიმე შეხვედრა მოსახლეობასთან, ვეკითხებოდით მათ, თუ რას ისურვებდნენ საკუთარ სოფელში, რასაც ჩვენ შემდგომ განვავითარებდით. ერთ-ერთი იდეა იყო ახალგაზრდული ცენტრის შექმნა, სადაც ახალგაზრდებს და სოფლის აქტიურ მოსახლეობას შესაძლებლობა ექნებოდათ ერთმანეთისთვის იდეები გაეზიარებინათ, დაეგეგმათ ახალი ინიციატივები. ასევე იქნებოდა იდეალი, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაატარებდნენ საინტერესო და საჭირო ტრენინგებს. პირველ ეტაპზე, როდესაც ჩვენ ორგანიზაციამ გადაწყვიტა ამ ინიციატივის განხორციელება, შევიტყვეთ, რომ სოფელ ხცისში უნდა განახლებულიყო ბიბლიოთეკა და ჩვენც შევხვდით ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს და თანამშრომლობა შევთავაზეთ, ბატონი გიორგიც სიამოვნებით დაგვთანხმდა ამ წამოწყებაზე და შედეგიც სახეზეა. გაიხსნა ცენტრი, რომელიც ერთდროულად ითავსებს ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდული ცენტრის ფუნქციასაც. ცენტრის სარემონტო სამუშაოები, რომელიც მოლიანად მუნიციპალიტეტმა აწარმოა, სექტემბრის თვეში დასრულდა, ხოლო უკვე ოქტომბერში ჩვენმა ცენტრმა აღჭურვა საჭირო ინვენტარით.

უკვე ათეული წელია მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების ინსტიტუტი ფუნქციონირებს და მნიშვნელოვანი მიღწევებიც აქვს სამოქალაქო განვითარების კუთხით. ინსტიტუტი 1992 დაარსდა და მას შემდეგ აქტიურად ასრულებს კვლევით სამუშაოებს, ამზადებს და გამოსცემს სხვადასხვა პუბლიკაციას, აწყობს კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს და საჯარო

დისკუსიებს. ინსტიტუტი აგრეთვე ატარებს სასწავლო ტრენინგებს და სემინარებს. მათი მიზანი ისეთი საზოგადოებრივი გარემოს ხელშეწყობაა, სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს, სოციალური, ეთნიკური, თუ რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობები ექნება.

თ. ახალაკაცი

(დასაწყისი იხ. „ხაშურის მოამბე", №40)

ორი ხელნაწერის ისტორია

ბარბარე ბატონიშვილის (წულუკიძისა) მიერ დარეჯან ბატონიშვილისადმი (აბაშიძისა) გაგზავნილი სამძიმრის წერილი, რომლის საინვენტარო ნომერია 7284/დ-1993, წარმოადგენს ქაღალდზე მხედრულით შესრულებულ ტექსტს (32X23სმ). განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. მუზეუმში შემოტანილია 1972 წელს სურამში მცხოვრები ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე შველიძის მიერ.

ქ. უგანათლებულესო და ჩვენ სახილველად სატრფო და ნუგეშო დაო, ბატონო სრულიად იმერთა მეფის ასულო ბატონიშვილო დარეჯან!

ქ. ჰოი, ვითარი მწუხარებისა და სალმობისა ხმა მოიწია ჩემზედა, სასმენელად სახარო და ძნიად სამეტყველო, რომელია ფრიად მწუხარებითა აღავსებს გონებასა ჩემსა და სწყლავს გულსა ჩემსა. წარმოგიყენებერა თვალთა წინაშე ჩემსა და აღმოუტყვებ მწუხარებითა ხმასა ვაებისასა, მოგახლები სხეულითა და ვიტყვი, თუ ვითარი რა შეემთხვა მწუხარება სასურველსა და სატრფოსა დასა ჩემსა და განვცვიფრდები და ვიტყვი თუ ოვისი სახელოვანი მამა მოეგონა რომელი სინოყასა ჩვენსა თანა აღგვეზარდა მწუხარება და ვაება, თვარამ სხვას ვერას ფიქრობს გონება ჩემი როგორ განგიცხადო და როგორ მოგახსენო, ან როგორ ვთქმევინო ენასა ჩემსა პირშმი და სასურველი მე შენი დაეთ თუ ვითარ უწყალომან სიკვდილმან ფერიტაცა შვენიერსა მისი და შავმან მწყანან დაჰფარა და მოჰკვეთა ახალი ნორნი იგი წალკოტი და ვარდები წინაშე შენსა ცრემლ ფრქვევეთ, რომელიცა ჯერას შენდა და ჩემდა მხიარულებისა მაგიერად დავით ახალი ნორნი ვარდი ჯერეთ გაუშლელი თუ ვითარ უდროოთ დაჯრო სიკვდილმან ფეროვანება მისი ახალი ეკიპაროზი და საფალავნოდ მოკაზმული გვამი მისი თუ ვითარ უდროოდ დაფარა შავმან მწყანან და მიწათა თანა აღიარაცა და მოემატა მწუხარება მტკივნეულსა გონებასა ჩემსა და მშვენიერი პაწაწა ულაშები მისი მიწად და ნაცრად ჰყო და მომკო უწყალომან სიკვდილისამან ძალამან სიჭაბუკისა ყვავილოვნება მისი. ვაი, ჩემს მოგონებას, როგორღა განგიახლო, რომ ჩემი გული იმაზე სწუხდა მისი და უხუცესი ძე შენი მიგტაცა და სვიმონმა მიიამხანაგა. ეგების სვიმონს აბრალებდე, მაგრამ არა პირველად ჩვენის ობლობის და მწველს და სიხოდგან აკამდე მწუხარებით აღმამსებელს შენს ხელმწიფეს მამას და ბიძას დაიბრალე მათი უდროო წარტაცება რომე თვისი მწუხარება და ობლობა არ გვაკმარეს და მწუხარება განგვიმრავლეს. ამდენი ხანი ჩემი კაცის უხელობება და დაგვიანება. ეს იყო და ეს მინდოდა, რომ ეს ჩემი თავი შენთან მომეტანა და შენთვის მწუხარე და ცეცხლმოდებული გული ჩემი შენ წინაშე დამეგდო და შენი ცრემლით განგეგრილებე და ეს უთმინო ცეცხლი ეგრე დაგვშრიტა ერთმანეთისათვის. ვაი, ჩემს ცოდვის კითხვას, რომ ვერ გიახელი, შენი მწუხარება ხორცეელის თვალით ვერ განვიცადე და ვერ გმსახურე. მაგრამ ესეც ჩემის ცოდვით მჭირს, ჩემი გონების თვალი ნიადაგ შენთან არის და შენთან სწუხს. აწ ესე მოიხსენე, ვინაიდგან სოფლის ხვეულება არის, არც მოხუცებულებისათვის და არცა ხელმისათვის ეწყალვის სიკვდილს და არც დედასა შეიწყალებს მისა აღსრულებისათვის. იმდენი სიცოცხლე გაქვს რა ერთი ამაში შენ ამხანაგი გყავდეს, დიდიც და მცირეც, თავს გააძლებინე, ნუ მოიკლავ, ეს განსაცდელი მადლობით მოითმინე. შენს მწუხარებას ვეჭვობ ვერ გაუძლო და შენს სიკვდილს მაინც ნუ გამაგონებ. მაგ შენს ერთს ძეს გაუფრთხილდი და მაგისი სიცოცხლის და შენის ძმის, მეფის სოლომონისთვის ღმერთს დაუთმე. ღმერთმა მათ საუკუნო განსვენება ნუ მოაკლოს და მათი ნაკლულეანი დღე შენს ერთს ძეს შესძინოს და სამაგიერო სიხარულით აღავსოს გონება თქვენი. მწუხარებისა თქვენსა თანამწუხარე

უმდაბლესი და თქვენი ბარბარე.

მინაწერი აშიაზე: ქ. ჩემი დედამოილმა დიდის მწუხარებით და ცრემლფრქვევით სამძიმარი მოგახსენათ.

ქ. თქვენმა სიძემ, წულიკიძემ, მწუხარებით აღვსილი და ცრემლფრქვევით სამძიმარი და მწუხარება მოგახსენა. ამას გვედრი, თქვენ იცი რასაც თქვენს თავს გააძლებინებთ. მშვენიერი ახალი ნორნი სვიმონს წუხარება ნიადაგ მის გონებაშია და ის წყლავს გონებასა მისსა. ჩემმა ცოდვამ კიდე ეს განმიახალა (II მხარეს) თქვენი საკადრისი კი არ არის, მაგრამ მცირე რამ გიახლებია, მე სხვას კი ვერას გავბედავ და ვერც მოგახსენებ, მაგრამ დავითის ცოლის მოსაყვანათ შამოსაწერათ მიახლებია მეც და თქვენს სიძესაც.

წერილის პირველ მხარეზე სხვა ხელითა და მელნით გაკეთებულია წარწერა: „წელსა ათას შვიდს ოცდასამსა, თვესა დეკემბერსა ესე ნახეიდობის წიგნი მოეცცი წმიდას", რომელიც იმავე მელნითაა გადახაზული.

მეორე მხარეზე იმავე ხელითა და მელნით გაკეთებულია შემდეგი წარწერა: „ხუთი მანათი ლაზარეს სამხარაძეს მართებს. ორი მანათი ლაბაძეს, ერთი მანათი დათიკო თაბაგარს", რომელიც ასევე გადახაზულია იმავე მელნით.

წერილის პირველ მხარეზე, თავში, ასევე მეორე მხარზე ბოლოში ქართული ანბანის ასოებია გამოყენილი თანმიმდევრობით.

ეს ყველაფერი გვიანდელი უნდა იყოს.

ამ მეორე ხელნაწერის შემოხვევაში რამდენიმე საკითხი იქცევს ჩვენს ყურადღებას. კერძოდ, ჩვენი მიზანია დავადგინოდ: 1. დარეჯან ბატონიშვილის ვაჟიშვილების საკითხი. 2. სამძიმრის წერილის დაწერისა და დავით აბაშიძის გარდაცვალების სავარაუდო თარიღი. 3. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იმ ხარვეზის გასწორება, რაც დაკავშირებულია ქაიხოსრო აბაშიძის იდენტიფიკაციასთან.

***

სოლომონ I –ის ქალიშვილი დარეჯან ბატონიშვილი გათხოვილი

(გაგრძელება V გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №100

2016 წლის 3 ოქტომბერი, ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ" ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შეფასების თაობაზე"

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გა" ქვეპუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეფასდეს დადებითად ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ" (დანართი 1 თან ერთვის 1 ფურცლად).
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე WWW.KASHURI.GOV.GE გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. 15)

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

ა ნ გ ა რ ი შ ი

(ხაშურის მუნიციპალიტეტის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 30 სექტემბრამდე გაწეული სამუშაოების შესახებ)

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 26 სექტემბრამდე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე განხორციელებული სამუშაოების შესახებ მოგახსენებთ შემდეგს:

2016 წლის 1 წლის იანვრიდან 2016 წლის 26 სექტემბრამდე სამოქალაქო ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმიწარმოების წესით სასამართლოში წარმოართა საქმეები, რომლებშიც ხაშურის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იყო როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის სახით (მომზადებული იქნა სარჩელები, შესაგებლები და შუამდგომლობები). სამსახურის მიერ რიგი საქმეები გასაჩივრებული იქნა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში (მომზადებული იქნა სააპელაციო და საკასაციო საჩივრები).

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს და წარადგენს მაო ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურის მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებების, შემოსული კორესპონდენციის ვიზირება და პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი დასკვნების მომზადება.

სამსახურის მიერ მუდმივად ხდება მუნიციპალიტეტისათვის განცხადებით მომართულ მოქალაქეთათვის წერილობითი პასუხის გაცემა.

სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების შემუშავებას, კორექტირებას და მათში ცვლილებების შეტანას.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური აგრეთვე უზრუნველყოფს წარმომადგენლობას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში.

2016 წლის მაისის თვეში ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების მიზნით მუშაობდა შესაბამისი კომისია, რომლის მუშაობის სამართლებრივი უზრუნველყოფა ხორციელდებოდა სამსახურის მიერ. ამასთან იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილ ყველა კომისიის მუშაობაში და ახორციელებს სამართლებრივ უზრუნველყოფას.

2016 წლის 1 იანვრიდან 26 სექტემბრამდე მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ორი კონკურსი, სადაც იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ იქნა აღნიშნული კონკურსების წარმართვა.

ორი ხელნაწერის ისტორია

იყო ქართლის აბაშიძეთა სახლის ცნობილ წარმომადგენელზე – ქაიხოსრო აბაშიძეზე. მკვლევარი ო. სოსელია მიუთითებს, რომ დარეჯან ბატონიშვილს და ქაიხოსრო აბაშიძეს ჰყავს ორი ვაჟიშვილი სიმონ და იოანე (ივანე). პირველი 1798 წლისთვის უკვე გარდაცვლილია, მეორე-იოანე კი, როგორც ცნობილია იყო 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურთაგანი, აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი ახალციხის საფაშოში გაიქცა და აქვე მოკლეს 1822 წელს. (ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, თბ 1973, გვ. 198).

ამრიგად, მკვლევარი დარეჯან ბატონიშვილს ორ ვაჟზე მოგვითითებს. ამათგან სიმონი 1798 წელსაა გარდაცვლილი, ხოლო იოანე 1822 წლამდე ჩანს. ისტორიიულ დოკუმენტები სხვას გვეუბნებიან. დარეჯან ბატონიშვილს და ქაიხოსრო აბაშიძეს ჰყავთ კიდევ ერთი ვაჟი დავითი. ამაზე მიუთითებს თავად დარეჯან ბატონიშვილიც. მან 1801 წლის სექტემბერში „ვაჟნათის (ვალათის-თ.ლ) მაცხოვრის ეკვდერს მიართვა შეწირულობის წიგნი, რომელშიც ნათქვამია, რომ გეგუთში მოსახლე „...ხუტუბაშვილი ქიშობა ვახტანგიშვილი იყო და ვახტანგ უშვილოთ გარდავიდა და ვახტანგის მამული მამაჩემს (სოლომონ I-თ.ლ) ეჭირა და ამ ქიშობას დედა ჩ(ემ)ს შვილს დავითს ძიძათ გამოაყვანინა მამაჩემმა და ის ძიძა და ეს ბოვში ქაშაბია ობოლი იყო და თავის აღგილმამულით ჩემს დავითს უბოძა ბატონმა მამაჩემმა..." (ს.კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, ტფ. 1911, გვ.120).

დოკუმენტში გადმოცემულ ამბავს აგდილი უნდა ჰქონოდა 1778-1784 წლებში – დარეჯან ბატონიშვილის გათხოვებიდან სოლომონ I-ის გარდაცვალებამდე. დავითი დარეჯანის უფროსი შვილია, რასაც ხაშურის მუზეუნის ხელნაწერიც დასტურდება. არის სხვა დოკუმენტიც.

1803 წლის 27 იანვრის მზითვის წიგნში, რომელსაც სოლომონ II და დედოფალთ-დედოფალი მარიამი აძლევენ დარეჯან ბატონიშვილს, ნათქვამია: „...ვინებეთ მორომეევად მტკიცე ესე და შეუცველი სიგელი... თქვენ, უგანათლებულესსა და სასურველსა დასა ჩვენსა ბატონიშვილს დარეჯანს და ძეთა თქვენთა დავითს და იოანეს" (ხეც, სდ-304, ფხ. აურეთვე, ნ. მაჩაბელი, ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან (მზითვის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში), თბ. 1976, გვ. 198). ამავეს გვიდასტურებს ხაშური მუზეუმში დაცული ხელნაწერიც. სამძიმრის წერილის ავტორი დარეჯან ბატონიშვილს უსამძიმრებს სასურველი ძის, -დავითის, „უწყალო" სიკვდილმა „წარტაცა". იგი მიუთითებს, რომ დავით „სვიმონმა მიიმხანაგა". ავტორი იმასაც ურნეეს დარეჯანს, რომ თავის „ერთს ძეს გაუფრთხილდეს", ე.ი. იოვანეს. ამრიგად, როცა ეს სამძიმრის წერილი იწერება დარეჯან ბატონიშვილს გარდაცვლილი ჰყავს ორი ვაჟი – სვიმონი და დავითი, ცოცხალია-ივანე. ე.ი. დარეჯან ბატონიშვილსა და ქაიხოსრო აბაშიძეს ჰყავს არა ორი, არამედ სამი ვაჟი – სვიმონი (1998), დავითი და იოანე.

***

ეურადღებას იქცევს საკითხი: - როდის გარდაიცვალა დავითი და აქედან გამომდინარე, როდისაა დაწერილი სამძიმრის წერილი.

წერილს ავტორი ბარბარე ბატონიშვილი არის არჩილ ბატონიშვილის ასულის და ერეკლე II-ის შვილიშვილი.

იგი შეუღლებული იყო იმერეთის „პირველ თავად" დავით წულუკიძესთან. სამძიმრის წერილში ავტორი მოიხსენიებს თავის დედამოილს – ელენეს, რომელიც თავად მიქელაძის ასულია, იგი ამ დროს ცოცხალია. რაც შეეხება მის მამამოილს – გიორგი წულუკიძეს – სოლომონ I-ის თანამეცხედრეს გულქან დედოფლის ძმას, - 1806 წლის 8 აპრილს არის გარდაცვლილი. მას ბარბარე წერილში არ იხსენიებს.

ამრიგად, როცა ბარბარე წულუკიძის სამძიმრის წერილში იწერებოდა, მისი მამამთილი გიორგი წულუკიძე გარდაიცვალა. აქედან გამომდინარე, წერილის დაწერის ქვედა ზღვრად სწორედ მისი – გიორგი წულუკიძის გარდაცვალების თარიღი-1806 წელი უნდა მივიღოთ.

რაც შეეხება ზედა ზღვარს. სამძიმრის წერილში ავტორი მოიხსენიებს სოლომონ II –ეს. შინაარსიდან ჩანს, რომ იგი ჯერ კიდევ სამეფო ტახტზეა. ე.ი. წერილის დაწერის ზედა ზღვრად უნდა მივიჩნიოთ 1810 წელი, რუსეთის მიერ იმერეთის დაპყრობა.

ამდენად, სამძიმრის წერილი უნდა დაწერილიყო 1806-1810 წლებს შორის.

ბარბარე ბატონიშვილი გეხვდება 1808 წელს მის მიერ ნიკორწმინდის ეკლესიისათვის შეწირულობის წიგნში. ამ დროს ბარბარე უკვე გათხოვილია და შვილებიცა ჰყავს: „...ვიდვენი მცირედი ძღვენი შე.ბატონიშვილმან მეფის ალექსანდრეს და მეფის ირაკლის შვილსშვილმან ბარბარეს და შემოეწირე სახოებით ხოხად სულისა ჩემისა... და აღსაზრდელად ძეთა და ასულ ჩემთა" (ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, ტფ. 1921, გვ.162). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული შეწირულობის სიგელზე დაყრდნობით, მკვლევარი ო. სოსელია მიიჩნევს, რომ გათხოვების შემდეგ ბარბარე ბატონიშვილს, როგორც ჩანს დიდხანს აღარ უცოცხლია (ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (ხათავადობები), III, თბ.1993, გვ.76)

ნიკორწმინდის ტაძარში შემონახული იყო ორი ნივთი, რომელიც ბარბარე ბატონიშვილს უკავშირდება. ერთი იყო ვერცხლის კამარა, მხედრული წარწერით „ქ. მოიხსენე უფალო ბატონიშვილის ძის ახალ მეორე მ(ეფის სოლო(მ)ონს) მიცვალებული ბატონიშვილი ბარბარა". მეორე ნივთი ვერცხლის კოვზია გატეხილი ორად, ასევე მხედრული წარწერით: „ქ. (მოიხ)(ს)ენე. უფალო ბატონიშვილი ბარბარა". (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წლებში. თბ. 1963, გვ. 92, გ. ბოჭორიძე, რაჭა – ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ. 1994, გვ. 116).

ეს ფაქტი, სამძიმრის წერილი 1806- 1808 წლებით დაგვეთარიღებინა, მაგრამ რადგან ნიკორწმინდის ტაძარში დაცულ ნივთებს თარიღი არ უჩის, შეცდომა რომ თავიდან ავიცილოთ, აღნიშნულის გათვალისწინებით, სამძიმრის წერილის დაწერის თარიღად 1806-1810 წლები უნდა მივიჩნიოთ. დავით ქაიხოსროს ძე აბაშიძეც-დარეჯან ბატონიშვილის უფროსი ვაჟი დავითი ამ წლებშია გარდაცვლილი.

***

რაც შეეხება დარეჯან ბატონიშვილის მეუღლის ქაიხოსროს პაატას ძე აბაშიძის საკითხს.

ქაიხოსრო არის ცნობილი ვახუშტი აბაშიძისა და ანუკა ბატონიშვილის (ვახტანგ VI–ის ასული) შვილიშვილი. ვახუშტი აბაშიძემ, იმერეთის აბაშიძეთა წარმომადგენელმა, 1711 წელს ვახტანგ VI-გან მიიღო ქართლის აბაშიძეთა მემკვიდრეობა – ქვეშხეთი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ქართლის შემადგენლობაში შემოვიდა ვახუშტი აბაშიძის კუთვნილი იმერეთის მამულები.

1712 წელს ვახტანგ VI-მ ვახუშტი აბაშიძეს მიათხოვა თავისი ქალიშვილი ანუკა. ასე დაუნათესავდა ვახუშტი ქართლის სამეფო კარს. ანუკას და,– თამარი, ვახტანგმა კახეთის ბაგრატიონთა წარმომადგენელს, შემდგომში ცნობილ თეიმურაზ II-ს მიათხოვა. ასე, რომ ვახუშტი კახეთის ბაგრატიონებსაც დაუნათესავდა. ერეკლე მეორე და ვახუშტის შვილები – პაატა, ნიკოლოზი, ლევანი და დავითი დეიდაშვილები არიან.

თ. ლაკაბიძე

დასასრული შემდეგ ნომერში

საინტერესო ნაპოვნი

მეცნიერები დღემდე დავობენ დედამიწის გეოლოგიურ ასაკზე. ამის ზუსტი თარიღის დადგენა, ალბათ, არც არასოდეს მოხერხდება, თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ დედამიწის გეოლოგიური ისტორია 4,5 მილიარდი წლის წინ იღებს სათავეს. ფაქტი კი ერთია, დედამიწის ზედაპირი მუდმივად იცვლიდა სახეს და, შესაბამისად, ასობით მილიონი წლის წინ, კონტინენტები

ჩამოყალიბდა. 750 მილიონი წლის წინ ყველაზე ადრეული ცნობილი კონტინენტი როდინია ჩამოყალიბდა, შემდეგ დაიწყო გადაჯგუფება და 600 მილიონი წლის წინ ქმნის პანოტიას, ბოლოს კი პანგეას (180 მილიონი წლის წინ). ამ ყველაფრის წინ დედამიწა უზარმაზარი ოკეანით იყო დაფარული. არც საქართველოს დღევანდელი ტერიტორია გახდდათ გამონაკლისი. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ხშირად პოულობენ ზედაპალეოზური ხანის შუაკარბონულ მარჯნებს, ბრაქიოპოდებს, ფორამინიფერებს და ზღვიური ფლორის ნაშთებს, რომელთა შორის განსაკუთრებით ჭარბობს მოლუსკები.

სწორედ ასეთ საინტერესო ნაპოვნზე გვინდა, მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ.

მალხაზ ჩადუნელი (ჩუმათელეთის მკვიდრი): ჩუმათელეთის სასაფლაოზე ვმუშაობდით, როდესაც არცთუ დიდ სიღრმეზე ბარს საინტერესო "ექსპონატი" ამოჰყვა. საკმაოდ დიდი მოცულობის მოლუსკი, ფაქტობრივად, იდეალური სახითაა შემორჩენილი. იგი დაახლოებით 20 სანტიმეტრის დიამეტრის მქონეა და გაქვავებული სახით ვიპოვეთ. სხვათაშორის, იურიული თუ პალეოზური ხანის ფლორის თუ ფაუნის ნაშთები ადრე აქ არავის შეხვედრია. ყოველშემთხვევაში, მეზობლებში მსგავსი არავის უნახავს...

მართლაც საინტერესო ნაპოვნია. ვფიქრობთ, ჩვენი მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები დაინტერესდებიან ამ ნაპოვნით და უფრო კომპეტენტურ დასკვნებსაც შემოგვთავაზებენ.

–თემის გაგრძელება –

ობობების „სასაფლაო“ სურამში?

ეს მართლაც საოცარი ფოტოები ჩვენი გაზეთის მეგობარმა ზურაბ ბეჟანოვმა გამოგვიგზავნა. იგი ბათუმელი კაცია და მისი დედულეთი სურამია. როგორც თვითონ მოგვითხრო, მთელი ბავშვობა სურამში გაატარა და სურათზე გამოსახული „გაქვავებული ობობები“ სწორედ ამ დაბაშია მოძიებული. იგი იხსენებს დიდი ბებიის ნაამბობს და მისი გადმოცემით, სურამში, მე-19 საუკუნეში, მსგავსი გაქვავებული სახით შემორჩენილი ობობები ძალიან ბევრ ოჯახში ინახებოდა. მოსახლეობა მას სამკურნალოდ(?) იყენებდა. ბებოს ისიც უთქვამს, რომ სურამში „ობობების სასაფლაო“ იყო, სადაც მსგავსი ქვები ბევრი გვხვდებოდა და ყველას შეეძლო მისი მოგროვება...

ძალიან საინტერესო ფაქტია. სამწუხაროდ, რედაქციის დამოუკიდებელმა კვლევამ შედეგი ვერ მოიტანა და ამ „სასაფლაოს“ შესახებ რაიმე დამატებით ინფორმაციას ვერ მივაკვლიეთ. ამიტომაც ვთხოვთ მკითხველს, ეგებ მათ ოჯახში ასაკოვან ხალხს ახსოვდეთ მსგავსი რამ, დაგვიკავშირდით ან მოგვწერეთ. და თუ მართლაც მიაკვლიეთ ამ „სასაფლაოს“, ჩაერთოთ მეცნიერებიც და ეგებ დიდ აღმოჩენასთანაც გვქონდეს საქმე.

წიგნის პრეზენტაცია ბიბლიოთეკაში

19 ოქტომბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მანანა აღაჯანოვმა მაია გელაშვილის წიგნის „მხიარულ-ბრაზიანი ბატონების“ პრეზენტაცია წარმოადგინა.

შეხვედრაში აქტიურად იყვნენ ჩართულები დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა- პანსიონის მოსწავლეები ჰედგოგ ნონა ხრიკაძის ხელმძღვანელობით. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა ნანა ჯოხაძე. შეხვედრის ბოლოს გაიმართა წიგნის გამოფენა-გაყიდვა.

ეს საინტერესოა

წელს უნიკალური ოქტომბერი დადგა! სასწაული ხანდახან ყველა ადამიანს სჭირდება და გახსოვდეთ, მოავარია რწმენა! ვისაც სასწაულების სჯერა, აუცილებლად აუხდება.

წელს, შემოდგომამ ბევრი სასწაული მოგვიტანა. დაე, ყველა პრობლემა შემოდგომის ფოთლებს გაჰყვეს და მხოლოდ მეხსიერებას შემორჩეს. ხანდახან ყველას სურს, უბრალოდ მშვიდად იცხოვროს. ეს ოქტომბერი კი სასწაულს გვიქადის.

ჩვენს ცხოვრებაში ეს ერთადერთი შემთხვევა იქნება, როცა იმ თვეში მოგვიწევს ცხოვრება, რომელშიც 5 ორშაბათი, 5 შაბათი და 5 კვირა იქნება.

ასეთი შემთხვევა 823 წელში მხოლოდ ერთხელ ხდება. ბოლოს მსგავსი თვე 1191 წელს იყო, შემდეგში კი 2837 წელს განმეორდება. ჩინელები ასეთ თვეს - მეჭა ფულს უწოდებენ.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ფენ-შუის თანახმად რეკომენდებულია ამ ინფორმაციის ყველა მეგობრისთვის გაზიარება, 4 დღეში კი სასიამოვნო ფულადი სიურპრიზი გელით.

D

ინფორმაცია ტრენინგის შესახებ სასტუმრო ბიზნესში

გაცნობებთ, რომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტი „ზრდა“, რომელსაც ახორციელებს qemoniqs inTerneiSeli, გეგმავს ამერიკის სასტუმროებისა და განთავსების ასოციაციის სასწავლო ინსტიტუტის (AHLEI) სასერთიფიკატო კურსის ჩატარებას სასტუმროს ადმინისტრირების საკითხებზე, მიკრო, მცირე და საშუალო სასტუმროების მფლობელებისა და მენეჯერებისთვის.

ამერიკის სასტუმროებისა და განთავსების ასოციაციის სასწავლო ინსტიტუტი (https://www.ahla.com/; https://www.ahlei.org/) არის საყოველთაოდ აღიარებული მსოფლიო ლიდერი ტურიზმისა და სასტუმროების ინდუსტრიაში სასერთიფიკატო ტრენინგების ჩატარებაში.

შემოთავაზებული ტრენინგ-კურსი მოიცავს სასტუმროს ადმინისტრირების ყველა ძირითად საკითხს, როგორიცაა: . სასტუმროს მენეჯმენტის და მასპინძლობის ინდუსტრიის ზოგადი საკითხები, სასტუმროს მიღება-განთავსების სფეროს მუშაობა, დასუფთავების სფეროს მუშაობა, კვების სფეროს მუშაობა და თანამშრომელთა მართვის საკითხები სასტუმრო ბიზნესში.

ტრენინგი მიკრო, მცირე და საშუალო სასტუმროების მფლობელებსა და მენეჯერებს დაეხმარება უფრო წარმატებული გახადონ თავიანთი ბიზნეს საქმიანობა და საუკეთესო მომსახურეობა შესთავაზონ როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ტურისტებს.

ტრენინგები ჩატარდება საქართველოს 4 რეგიონში (სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე ჯავახეთი, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი).

USAID/ზრდას დაკვეთით, სერტიფიცირებულ ტრენინგებს განახორციელებს ამერიკის სასტუმროების და განთავსების ასოციაციის სერტიფიცირებული პარტნიორი საქართველოში კომპნია „ქი მენეჯმენტ სოლუშენს“ (KMS Georgia).

კურსი ჩატარდება მიმდინარე წელს 5-დან 15 ნოემბრამდე. დაინტერესებულ პირებს კურსზე დასარეგისტრირებლად გთხოვთ დაგვიკავშირდეთ დღეიდან 30 ოქტომბრის ჩათვლით. კურსის მონაწილეებს გადაეცემათ ამერიკის სასტუმროებისა და განთავსების ასოციაციის სასწავლო ინსტიტუტის (AHLEI) სერთიფიკატი, რაც მათ სასტუმროებს მეტ სანდოობას შესძენს და კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ჩამოსული სტუმრებისთვის .

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელ: 995-322-250-567, ან 598957395.

D

ცვლილება განცხადებაში

გაზეთ „ხაშურის მოამბე“-ის 2016 წლის 19 ოქტომბრის №40-ში გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილია ცვლილება, კერძოდ შპს „ელისი 2015“-ის კუთვნილი ასფალტის ქარხნის ექსპლუატაციის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2016 წლის 11 დეკემბერს, 12 საათზე ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში(ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. №2).

ადმინისტრაცია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

გახდი მოხალისე ბიბლიოთეკარი!

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა იწყებს პროექტს „მოხალისე ბიბლიოთეკარი", რომლის მიზანია მოხწავლეების ჩართულობა საბიბლიოთეკო საქმიანობაში:

- ბიბლიოთეკის განყოფილებებისა და რესურსების გაცნობა;
- მკითხველთა მომსახურება, მკითხველების ინფორმირება;
- საკლუბო ღონისძიებებში ჩართვა, დებატები, პრეზენტაციები, საბიბლიოთეკო სივრცის მომზადება;
- „წიგნების“ კატალოგის შექმნა, ელექტრონულ კატალოგზე მუშაობა;

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ მოსწავლეს. პროექტი დაიწყება 16ოემბრიდან,

საჯარო განხილვა

31 ოქტომბერს, 10 საათზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართება საჯარო განხილვა ხაშურში სანაპიროს ქუჩის მონაკვეთისთვის 1991 წელს აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული მამუკა სულაბერიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია